

ნომის სცუმარი



ვახტანგ ხარჩილავა – პოეტი, პუბლიცისტი, „საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი. მრავალი პოეტური კრებულის ავტორი. მისი ლექსები თარგმნილია მსოფლიოს სხვადასხვა ენებზე. არის ვლადიმერ მაიაკოვსკის და ნიკო ნიკოლაძის პრემიების ლაურეატი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.



... და საქართველოც გაგვექცევა საქართველოდან...

თუ იქროლებენ კვლავ ასეთი მკაცრი ქარები, კვლავ უპატრონოდ თუ დარჩება ჩვენი ტაძარი, გაგვექცევიან ჩვენ აქედან ჩვენი ქალები და სამუდამოდ მიეყრება კერას ნაცარი... მათხოვრობისთვის განწირულნი, ნაშიმშილეენი, დავრდომილები მიმოდინ ირგვლივ ქვითინით, გაგვექცევიან ჩვენ აქედან ჩვენი შვილები და გაგვექცევა სიცოცხლე და მოვა სიკვდილი! ცად აღვლენილი სავედრებლად მტკივა ხელები, დახაზულია ცის გუმბათი სისხლის ღარებით, გაგვექცევიან ტყეები და მდინარეები, გაგვექცევიან ახოები, ზვრები, ყანები... გაგვექცევიან მეზვრენი და მევენახენი, გაგვექცევიან მეგუთენი, დურგალ-ხარატნი და, რაც აშენდა საუკუნოდ ერის სახელით, თავს დაგვემხოვა შინაური მტრების ღალატით!.. თუ იქროლებენ კვლავ ასეთი მკაცრი ქარები, თუ არ მოვიდა გმირი – ერი ვისაც ელოდა, გაგვექცევიან ჩვენ აქედან ჩვენი ქალები და საქართველოც გაგვექცევა საქართველოდან!..

შენ შეცდენილი ხარ ანგელოსი

შენ შეცდენილი ხარ ანგელოსი, მხრებზე ციური შუქი გაყრია, შენ შეცდენილი ხარ ანგელოსი, მაგრამ რატომღაც ქალს გეძახიან. უცხო და ცისფერს ბრბო ვერ აიტანს, ბალს გაგიტელავს და აგიოხრებს. შენ გამოგძერწა ზეცამ მთვარიდან, ქალის ტანით და ქალის მიმოხვრით... და მოგისაჯა მამრის გაოფლილ, ხარბ, გაუმადლარ სხეულთან ინვე, შენც სასჯელს იხდი, შორს მოგალობე ჩიტების გუნდი მიფრინავს მზისკენ. შენ თეფშებს რეცხავ, ახურებ ღუმელს, დახრულ იატაკს ხეხავ ჯაგრისით, რომ დაემსგავსო ოჯახზე მზრუნველ და მოფუსფუსე დიასახლისებს... მერე შლი ლოგინს, ასწორებ ბალიშს, წვები ალერსის მაცდური ნიღბით... და, ბედნიერი, გეხვევა ქმარი, ქმარმა რა იცის, რომ სასჯელს იხდი...

რატომ მეგონა, რომ სადღაც მივდიოდი, როდესაც უცბად გამომეღვიძა და დავინახე, რომ საკუთარი თავის გარშემო დავფორთხავდი და დავწრიალებდი მთელი ცხოვრება... ვერ გამიგია, რად ამბობენ – გზა მიდისო, გზა არსად მიდის, თუკი ჩვენ არ მივდივართ სადმე.

„როგორ მინდოდა გასვლა მიწიდან“... ტერენტი გრანელი

სავსეა ხალხით სამყაროს ეზო, დღეა დეკემბრის, დღე არის ცივი, აქედან გასვლას ვერავინ შეძლებს, ვერავინ გასცდება საკუთარ ტკივილს, საკუთარ ბედს და საკუთარ სურვილს, რომ უცხო მხარის ნათლით გაოცდეს, აქ იმარხება ხორციც და სულიც, ამ უსასრულო სასაფლაოზე. ერთი ცა ხურავს დიდსაც, მცირესაც, ავსაც და კარგსაც ერთი ფასი აქვს. რა ძველისძველი გადის პიესა, რა ხმაურია, რა გნისასია!.. ... შენც აქ ყოფილხარ, ამათთან, თურმე თავდავინწყებით ცეკვავ და მღერი, შენც აქაური ღვინით დაგათვრეს, ყალბი მძივებით მოგიტრეს ყელი. შენც ამათსავით გინდა შესცოდო, იგემო ვნების ტკბილი ნუთები, ვერ გაგიყვანე მე ამ ეზოდან, გაგიყვან, – მაინც უკან ბრუნდები. ... ნუღარ მომიტანთ შეჩვეულ მიხაკს, ნუ გამაგონებთ ამ ნაცნობ მოტივს, ის დილა მიყვარს, ის ღამე მიყვარს, ამ ეზოს კედელს მიღმა რომ მოდის. ეს ცა და მიწა, ეს მზე და მთვარე ერთ სიცოცხლეში რამდენჯერ ვნახო, ის ქალი მიყვარს, ამ ეზოს გარეთ, ამ ეზოს იქით რომელიც სახლობს... დრო მიდის, ავობს წვიმა და ქარი, აქედან გასვლა ვერავინ შესძლო, ჩაკეტილია გარედან კარი და ჩუმად დრტვინავს სამყაროს ეზო.

ამადეო მოდილიანი

სანამდე ვითმინოთ ეს ღამე, სანამდე უნდა გადავლებო ცისფრად. ბაღში ავადმყოფი ვწევარ ამადეო და ველოდები ცისკარს. ეგ სახე რად მინდა, ეგ თქვენი ნიღაბი, ის უნდა დავხატო, რაც ნიღბის მიღმაა. მადმუაზელ, ოდესმე იყავით იმ მხარეს? ხედავთ? – ცას ცრემლები ვარსკვლავებად მიმხმარა. ქარი – მანანწალა ქუჩის შანსონიე შემოდის ჩემს ბაღში და მხრებზე მეხვევა, თქვენ იცით სიმართლემდე რა შორია? რა მტკივნეულია სინათლესთან შეხება! თქვენ აქვე დარჩებით, მე უკვე გაღმა ვარ, თქვენ აქვე დარჩებით მაგ თქვენი სიმდიდრით. ცხოვრება ქარაფშუტა პარიზელი კახპაა, თუ ფული გაქვს – იყიდი... ვისაც გული აქვს და წაერთვა სასო, ღვინით კი არა სევდით ლოთდებიან... გინახავთ ზამთრის მთვარე პარიზის ცაზე? – ჩემი პორტრეტია. ძნელია, ეს ღამე მარტომ გაათენო, ძნელია, გადავლებო ცისფრად. დათოვლილ ფოთლებში ვწევარ ამადეო და ველოდები ცისკარს...

ი უ ბ ი ლ ა რ ი




ნაცო ლონიკიშვილი - 50

ორმოცდაათის მერე...

„ორმოცდაათის მერე
ვატყობ, ადვილად ვთრები...
ვატყობ გულს ველარ მტკენენ
ჩემი პატარა მტრები...“

მურმან ლებანიძე

ორმოცდაათის მერე
ფიქრობ – რამდენი დარჩა?...
კვლავ „თავო ჩემოს“ ვმღერი,
იყო ძაძაც და ფარჩაც.
იყო და არა იყო...
წლები – ცრემლების მცვენი...
ხშირად ვიყავი ბრიყვი
და, იშვიათად, ბრძენი.
დღეს უჩვეულოდ მიმიძიმა
ჩემი სიზიფეს ლოდი,
ველი ოცნების ციმციმს,
ო, სასოებავ, მოდი...
ფუჭი ფუსფუსი მორჩა!..
ბევრი „ვჭერი და ვკერე“...
სხვა გზასაყარი მოჩანს
ორმოცდაათის მერე...



„ვარსკვლავთცვენა“ ხაზურში

16 ივნისს, ქალაქ ხაზურში, პოეტ ეკა ბაქრაძის ხელმძღვანელობით, მის მიერ დაარსებული, 2013 წლიდან უკვე ტრადიციად ქცეული ლიტერატურულ-მუსიკალური სალამოების ციკლის – „ვარსკვლავთცვენას“ მორიგი სალამო გაიმართა, რომელსაც თავად პოეტი უძღვებოდა შესანიშნავი არტისტიზმით და ნამდვილი ხელოვანისათვის დამახასიათებელი გულწრფელობით.

ხაზურის ინტელიგენციასთან და შემოქმედ ადამიანებთან ერთად ღონისძიებას ესწრებოდნენ ცნობილი პოეტები: **ვახტანგ ხარჩილავა, მზია ხეთაგური, დავით ახლოური**, პოეტი და ესეისტი **დავით არახამია**. პოეტები კითხულობდნენ საკუთარ ლექსებს, ქ-ნ ეკა ბაქრაძის საბავშვო-თეატრალური ნაწარმი „აკვამიუმის“ მოსწავლეები წარმოადგენდნენ მონვეული პოეტების ლექსების მინი-სპექტაკლს.

სალამო პოეზიის დღესასწაულად იქცა, ხაზური კი, უცებ წარმოგვიდგა ხელოვნების, ქართული სიტყვის დიდებულ ცენტრად, თავისი შესანიშნავი ინტელიგენციით.

ურთიერთპატივისცემის, კულტურის, გემოვნების, განათლების ტრიუმფი იყო ხაზურში იმ დღეს იმ სალამოზე – არაჩვეულებრივი ქალბატონები – დედები, ბებიები, ახალგაზრდები, ვაჟები და გოგონები ერთად, თითქოს, ურთიერთპატივისცემის, ზნეობის, ხელოვნების სათაყვანოდ შეყრილიყვნენ. თვალწინ დაგიდგებოდათ მე-19 ს-ის ქართული კულტურული საზოგადოების სალონური შეხვედრები, ლექსებისა და რომანსების თანხლებით.

რომანსები კიდევაც ისმოდა შესანიშნავი კომპოზიტორისა და მომღერლის ქ-ნ **ია მაისიას** შესრულებით, ვიოლინო კი, ქ-ნ **ფატი სადალაშვილის** ხელებში ამქვეყნიურ სიამოვნებას გვრიდა მსმენელს. ამ სალამომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ, სანამ ადამიანი არსებობს, საქართველო უკვდავია, როგორც უკვდავთა პოეზია და ლექსი, როგორც ხელოვნება, რომელიც ადამიანებს აახლოებს...

სტატია გადმობეჭდილია „საერთო გაზეთიდან“



საქართველოს პედაგოგთა და მაცნეირთა თავისუფალი პროფკავშირი

ა ჯ ი ლ დ ო ე ბ ს

ნაცოლია ლონიკიშვილს
განსაკუთრებული დამსახურებისა
და დიდი ღვაწლისათვის

ი. ელისაშვილი

პრეზიდენტი: *მანანა ჯიბლაძე*
ზაია კობახიძე

პოეზია

ემიგრანტებს



გულნარა ქელიძე

მიტოვებული შვილებით კერა,
 სიმწრით ნაშოვნი ფული,
 დადუღებული, თვალზე ცრემლები,
 დამძიმებული გული...
 რბიან დღეები, წლები, წუთები,
 ჯაფაში ჯანი ქრება,
 ამანათებში და გზავნილებში
 ჩაბუდებულა სევდა...
 ქართული მიწის, სახლის, შვილების
 მონატრება გწავთ მუდამ,
 მალე დაბრუნდით! – ჩაკეტილ ჭიშკრებს
 ბოქლომის ახსნა უნდა!

* * *

შია მიწას, ოფლი შია მშრომელ კაცის,
 მოგვენატრა გუთანი და „ოროველა“,
 აკვნებიდან იავნანაც გაქრა უკვე,
 ქართულ ადათს, ისტორიას უნდა შველა!
 ეს რა ხვედრი დაგებდა, საქართველოვ,
 გარეულიც, შინაურიც გებრძვის მტერი!
 მიჯაჭვული ამირანი იხუთება,
 აღარა არის ძლიერი და სახიერი...
 არა, წვიმა არ გეგონოთ, ტირის დედა,
 დედასავით, ვერ გვთმობს მაინც დედაღვთისა,
 მტრადნაკიდულ ქართველების გადარჩენას
 მუხლის ჩოქვით ევედრება ძეს თავისას...

* * *

გავუცხოვდით, დაგვიშორდა მანძილები,
 რამდენი რამ უკვე იქცა ოცნებად...
 ღმერთო, ისე ნუ გაგვწირავ, დაგვიბრუნე
 ერთმანეთის სიყვარული, მოსმენა...
 პირაკრულნი, ეშმის ისრებს აგვარიდე,
 გაგვინათე ნაღვლიანი სამყარო,
 მინდა, ფუნჯით ცის თაღს შევწვდე და ფერებით
 ერთმანეთის სიყვარული ვახარო.
 მოგვეც ნიჭი და სურვილი, კვლავ ვისმინოთ
 ჩიტუნების საამური გალობა,
 ამ პატარა საქართველოს რომ აცოცხლებ,
 მოწყალეო ღვთისმშობელო, მადლობა!

* * *

დავშორდი ბავშვობას, მანძილი დაგრძელდა,
 მიჰქრიან წლები და ნელ-ნელა ვბერდები.
 ბევრს დავიტოვებდი და ბევრსაც შევცვლიდი, –
 დღეს მოგონებების ზღურბლთან შევჩერდები.
 ბაფთიან გოგონას ვიგონებ ღიმილით
 და წითელ ყელსახვევს – ეპოქის ემბლემას,
 გზისპირას ღილინით ჩამოვლილ ნაკადულს,
 სკოლისკენ მიმავალ ბილიკს რომ ევლებო...
 მაცადეთ, თამაშიც მომინდა სიცვლქით,
 იმ უმანკოებით, მაშინ რომ ვიცოდით,
 იმ დროის ბავშვური სიტბო მომენატრა,
 თბილი გულებით რომ სამყაროს ვიპყრობდით...

გამოუენა

მუზა ბავშვში და ბავშვი მუზეუმში

როგორც ყველა პატარას, გვანცა გოგნაძესაც ფერადი სამყარო იზიდავდა და ქალაქზე გადაჰქონდა ფანტაზიით ხორცშესხმული ემოციები... არჩევანში არ შემცდარა, მისაღები გამოცდები თბილისის სასულიერო აკადემიაში ჩააბარა და ხატნერის ფაკულტეტის სტუდენტიც გახდა. შემდეგ თაბახის ფურცელს ტილო შეანაცვლა და შემოქმედებითი წვაც გაცხოვრდა. აკადემიაში ეწვია სიყვარულიც, ხელი ჩასჭიდა და სურამელი გოგონა ქვიშხეთის მშვენიერებას აზიარა.

ქვიშხეთის კულტურის სახლის თანამშრომელმა მედეა კაკიაშვილმა, 28 წლის შემოქმედი სოციალურ ქსელში „იპოვნა“, მაშინვე მიიწვია და სამხატვრო წრის ხელმძღვანელობა შესთავაზა.

ასე დაიწყო გვანცა მასწავლებლისა და ქვიშხეთელი ბავშვების მეგობრობა...

2021 წლის 15 ივნისს, ქვიშხეთში, დიმიტრი ყიფიანის ეზოში, მუზეუმის თანამშრომლების ხელშეწყობით, ნორჩ შემოქმედთა დასკვნითი გამოფენა მოეწყო, რომლის გახსნა თქვენს მონა-მორჩილს ერგო. ქვიშხეთის საჯარო სკოლის მოსწავლეები, მათი მშობლები და სასტუმრო „მწერლების“ თანამშრომლები ყურადღებით ათვალთვლებდნენ მოღბერტებზე გამოფენილ ნორჩ შემოქმედთა ნამუშევრებს. განსაკუთრებით აღინიშნა ხელოვნების უდიდესი როლი ბავშვის სულიერად განვითარების საქმეში. ახლო მომავალში დაიგეგმა თავად გვანცა გოგნაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენის მოწყობა.

მუზეუმის მენეჯერმა, რევაზ ნოზაძემ სამომავლოდაც თანადგომა აღუთქვა ახალგაზრდა პედაგოგს და დასძინა, რომ მუზეუმი ყოველთვის მხარს დაუჭერს და სიამოვნებით უმასპინძლებს მსგავს ნამოწყებებს.

ამ დღეს, დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმში, თვითნასწავლ, საინტერესო მხატვარს, ბულბულისციხელ ფირუზ ჩინჩიკაძესაც უმასპინძლა.

ბ-ნ ფირუზმა შემოქმედებითი გზა დაულოცა და წარმატებები უსურვა გამოფენის თითოეულ მონაწილეს: თევდორე ხაჩიძეს, ნიკოლოზ აბრამაშვილს, ნია კვინიკაძეს, მარიამ ქალიაშვილს, ბარბარე ბანცაძეს, ელისაბედ ხაჩიძეს, ანა ლომიძეს, მარიამ გელაშვილს, მარიამ ჩადუნელს, ქეთი ქალიაშვილს და გვანცა ხაჩიძეს.

დღე იყო საოცრად ნათელი, მზე-მხურვალე, ცა-მაღალი, სწორედ ისეთი, როგორც ალექსანდრე ციმაკურიძის ქვიშხეთურ პეიზაჟებზეა აღბეჭდილი...

უჩვეულოდ შრილებდნენ და, თითქოს ტაშს უკრავნო, ერთმანეთს ნაზად ეხებოდნენ ყიფიანის ცაცხვის ხის აყვავებული ტოტები... მაღლი პეშვით იღვრებოდა და ავსებდა იმ კალაპოტს, რომელი გზითაც სამყაროს შესაცნობად გაემართებიან ეს ანგელოზები!

უფალო, დაულოცე სამშობლო ამ პატარებს და სამშობლოს – ეს ბავშვები!

კლარა გელაშვილი, პოეტი, ფილოლოგიის დოქტორი, დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის ფონდების მცველი

